# ხაშურის მოამბე

№25 (206) 1 ივლისი, ორშაბათი, 2019 წელი



## ხაშურში, ვაჟა ფშაველას ქუჩაზე მინი სტადიონისა და სკვერის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს

პროექტის განხორციელების შემდეგ, მუნიციპალიტეტში სპორტული ცხოვრებისთვის და დასვენებისთვის კიდევ უფრო მეტი სივრცე შეიქმნება.

მიმდინარე სამუშაოებს ადგილზე აკვირდებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი გურასპაშვილი, მერის მოადგილე ზურაბ როსებაშვილი და ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი გიორგი პაპიაშვილი.

მათი განმარტებით, ვაჟა ფშაველას ქუჩაზე მინი სტადიონისა და სკვერის მშენებლობისთვის 72 386 ლარია გამოყოფილი.

აღნიშნული პროექტი მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე ხორციელდება და მნიშვნელოვანი იქნება როგორც ადგილობრივი მცხოვრებლებისთვის, ასევე დამსვენებლისთვისაც.

## ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხრამუხაში, საჯარო სკოლის დაზიანებული მესერი იცვლება

აღნიშნული პროექტი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა პრიორიტეტად მიიჩნიეს, რათა სკოლის მოსწავლეების უსაფრთხოება მაქსიმალურად იყოს დაცული. გარდა ამისა, სამუშაოები მნიშვნელოვანია სოფლის იერსახის მოსაწესრიგებლად.

მიმდინარე პროცესებს ადგილზე აკვირდებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი გურასპაშვილი, მერის მოადგილე ზურაბ როსებაშვილი, ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი გიორგი პაპიაშვილი, საკრებულოს წევრი, ცხრამუხის მაჟორიტარი დეპუტატი ლაშა ლურსმანაშვილი და მერის წარმომადგენელი ცხრამუხის ადმინისტრაციულ ერთეულში ოთარ ბირკაძე.

მათი განმარტებით, პროექტი თანადაფინანსებით ხორციელდება, ჯამში 29 999 ლარს ითვლის და ივლისის ბოლოსთვის დასრულდება.

- ლუკა მაისურაძის ბრინჯაო ევროპის ოლიმპიურ თამაშებზე -

## ნაბიჯ-ნაბიჯ დიდი მიზნისაკენ

ევროპის მეორე ოლიმპიურ თამაშებზე ხაშურს რომ თავისი წარმომადგენელი ჰყავდა, ჩვენმა მკითხველმა კარგა ხანია იცოდა. ლუკა მაისურაძე ბოლო დროის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სპორტსმენია ხაშურიდან და რა გასაკვირია, რომ მისი ყველას გვეიმედება. 81 კილოგრამი, ტრადიციულად, პრესტიჟულ წონად ითვლება ძიუდოში და საქართველოს მასშტაბით, ამ წონაში პირველ ნომრად დამკვიდრება უკვე დიდი მიღწევაა. თუმცა, ეს არ იკმარა ლუკამ და წელს რომელ ტურნირშიც კი გამოვიდა, უმედლოდ არცერთში დარჩენილა. ეკატერინბურგის გრან-პრი, სტამბოლის გრანდ-სლემი და აი, წლევანდელი წლის მწვერვალი – ევროპის ოლიმპიური თამაშები, რომელიც




პარალელურად, ევროპის ჩემპიონატიცაა. ლუკას მიერ იქ მოპოვებული ბრინჯაო ჯერ-ჯერობით ყველაზე „წონიანია" მის კარიერაში და ბევრად აღემატება თუნდაც ახალგაზრდებში მოპოვებულ მსოფლიო ჩემპიონობას. თუმცა, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ლუკა ჯერ სულ 21 წლისაა და მთავარი მიზანი ჯერ კიდევ წინაა. ეს ბრინჯაოც მას დიდი ოლიმპიური თამაშების მოსამზადებელ ეტაპად ჩავუთვალოთ.

ლუკას დაჯილდოებისას, მინსკის ოლიმპიურ სასახლეში აღმართულ დროშას კი, დარწმუნებული ვარ, მთელი ხაშური სიამაყით უყურებდა და ყველას ერთიანი ფიქრი დასდევდა: ეს ჩემი სამშობლოს დროშაა, ეს დროშა ჩემმა თანაქალაქელმა – ხაშურელმა ძალიან მაგარმა ბიჭმა აწია.

გოგი გოგოლაძე

## 2018-2019 სასწავლო წელი დასრულდა, ახალი სასწავლო წლისათვის მზადება უკვე დაიწყო

2018-2019 სასწავლო წელი სკოლებში დამთავრდა. ბავშვებისთვის ნანატრი საგაზაფხულო არდადეგები დაიწყო. ბოლო ზარიც დაირეკა მეთორმეტე კლასელთათვის, რომელთაც ცხოვრების ახალ საფეხურზე მოუწევთ ნაბიჯის შედგმა. მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო პროცესი სკოლებში ორიოდე თვით შეწყდება, საგანმანათლებლო რესურსცენტრისთვის ახალი სასწავლო წლისთვის დადგეგმილი სამუშაოები, სწორედ ახლა იწყება. ჩვენ ხაშურის საგანმანათელბო რესურსცენტრს ვესტუმრეთ, გავესაუბრეთ რესურსცენტრის უფროსს ზვიად გოგუაძეს, რომელმაც 2019-2020 სასწავლო წელს დაგეგმილი სამუშაოების შესახებ გვიამბო.

ზვიად გოგუაძე (საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი): –ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრისთვის სასწავლო წლის დასრულება არ ნიშნავს სამუშაოს დასრულებას, პირიქით, ჩვენ ახლა ვიწყებთ სამუშაოებს და მოვიცავთ 2019-2020 წლის სასწავლო გეგმით გათვალისწიებულ საკითხებს. რაც გულისხმობს არაერთ აქტივობას, რომელიც აუცილებლად განსახორციელებელია, იმისთვის, რომ ნორმის ფარგლებში დაიწყოს ახალი სასწავლო წელი და სწავლა-სწავლების პროცესი მიმდინარეობდეს შეუფერხებლად.

**- ბატონო ზვიად, მოგვიყევით მიმდინარე სამუშაოების შესახებ..**

– პირველ ეტაპზე, მიმდინარეობს მე-9 და მე-12 კლასელების, ვგულისხმობ საბაზო საფეხურდამთავრებულების და საშუალო საფეხურდამთავრებულების, მონაცემების დამუშავებას და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისთვის მიწოდებას, რომელიც, თავის მხირვ, ამ ინფორმაციების დამუშავების შემდეგ, აწვდის სახელმწიფო სერვისების მართვის სააგენტოს და სწორედ ამ სამუშაოების დასრულების შემდგომ შესაძლებლობა



ექნებათ, რომ დროულ ვადებში მიიღონ ატესტატები ზემოთაღნიშნულმა საფეხურდამთავრებულებმა. აგრეთვე, მნიშვნელოვანია, რომ ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, მათ უნივერსიტეტებში პრობლემები არ შეექმნათ.

(დასასრული II გვერდზე)

(დასასრული)

# 2018-2019 სასწავლო წელი დასრულდა, ახალი სასწავლო წლისათვის მზადება უკვე დაიწყო

**- როგორც ვიცით, მუშაობთ ,,ჩემი პირველი კომპიუტერის" პროგრამაზე..**

– დიახ, ასეა. საგანმანათლებლო რესურსცენტრი აქტიურად მუშაობს „ჩემი პირველი კომპიუტერის" და ასევე მეორე ქვეპროგრამის ფარგლებში, რასაც „მედალოსნების პროგრამა" ჰქვია. ამუშავებს ინფორმაციებს, ხდება ამ ბავშვების მიღებული ნიშნების გადამოწმება უშუალოდ რესურსცენტრში და შემდგომ წარდგენა შესაბამისი სამსახურებისთვის. ეს არის საგანმანათლებლო, სამეცნიერო და ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, რომელიც შემდგომ მიმდინარე წელს გასცემს წარჩინებულ მოსწავლეებზე ჯილდოებს.

**- ახალი სასწავლო წლიდან თუ მოემსახურება მოსწავლეებს უფასო ტრანსპორტი?**

– რა თქმა უნდა. მოსწავლეების უფასო ტრანსპორტით მომსახურების პროგრამა ადგილობრივ თვითმმართველობაში გადავიდა. რესურსცენტრმა წინასწარი მონაცემები დაამუშავა. მუნიციპალიტეტის მერიამ კი, ჩვენ მიერ მიწოდებული ინფორმაციაზე დაყრდნობით, 2019-2020 სასწავლო წლის პირველი სემესტრისთვის განსახორციელებელი ტრანსპორტირება შეისყიდა და ამ მხრივ პრობლემები არ შეიქმნება. აქვე დავსძენ, რომ თუ მანძილი დასახლებიდან სკოლამდე 2 კილომეტრი და მეტია, მოსწავლებს ემსახურება უფასო ტრანსპორტი, რომელსაც მიმდინარე წლიდან უკვე აფინანსებს ადგილობრივი თვითმმართველობა.

**- რაც შეეხება სახელმძღვანელოებს, რა მდგომარეობაა ამჟამად?..**

– ამ ეტაპზე, რესურსცენტრამა უკვე დაასრულა მუშაობა, მოსწავლეების უფასო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამაზე. მოსწავლეები უფასოდ მიიღებენ სახელმძღვანელოებს. ახალი სახელმძღვანელოების მისაღებად კი ვემზადებით ზაფხულის თვეებში. 2018-2019 სასწავლო წლებში 1-დან მე-6 კლასამდე ახალი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები შევიდა. 2019-2020 წლებში უკვე მე-7 კლასში იცვლება მთლიანად სახელმძღვანელოები და აქაც ახალი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები შედის. რჩება 8-დან მე-12 კლასები, თუმცა დანაკლისს, ამ მხრივ, ოცდათორმეტივე სკოლას შევუვსებთ.

**- ვიცით, რომ სკოლების რეაბილიტაციაც მიმდინარეობს..**

– სკოლების რეაბილიტაციებიც ადგილობრივი თვითმმართველობების დაქვემდებარებაში გადავიდა, თუმცა, საგანმანათელბლო რესურსცენტრის აქტიური თანამშრომლობით შედგა. სულ 21 სკოლის რეაბილიტაციის ტენდერი ცხადდება, რომელიც ნაწილობრივ რეაბილიტაციას ითვალისწინებს. წელს, დასრულდება სოფელ ფლევის სკოლის მშენებლობა. 2019-2020 სასწავლო წელს მოსწავლეები ახალ თანამედროვე სტანდარტებით აშენებულ სკოლაში მივლენ.

**- როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ბავშვები საზაფხულო ბანაკებში მიემგზავრებიან..**

– რესურსცენტრი მუშაობს ზაფხულის ბანაკებში მოსწავლეების გაგზავნაზე. ეს ბანაკებია: მანავის, ანაკლიის, სალიბაურის. ბავშვების სიები უკვე შემდგარია რესურსცენტრში და გადაცემულია განათლების სამინისტროსთვის. ორგანიზაციული საკითხების მოგვარებას, ცხადია, საგანმანეთლებლო რესურსცენტრი ხელმძღვანელობს.

თ. ახალკაცი



# ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ წეღვერში წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს

წეღვერში, წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოების პრიორიტეტი ადგილობრივი მოსახლეობის მიერ სოფლის კრებაზე გამოიკვეთა. შესაბამისად, სამუშაოები, რომელთა ღირებულება 10 00 ლარია, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხორციელდება.

სოფელ კრისხევში კი აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს მთავარი გზის მოასფალტების სამუშაოები. პროექტი რეგიონულ ფონდის და მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით ხორციელდება. მისი ღირებულება 827606 ლარს ითვლის.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა და მერის მოადგილე ზურაბ როსებაშვილმა მერიის ინფრასტრუქტურის განყოფილების წარმომადგენლებთან ერთად აღნიშნული სამუშაოების მიმდინარეობა დაათვალიერეს.

პროექტები გეგმიურად მიმდინარეობს და მათი განხორციელება დადგენილ ვადებში მოხდება.

# ლესია უკრაინკას სახლ - მუზეუმის რეაბილიტაციისთვის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება მიმდინარეობს

ტექნიკური დეტალების განსახილველად, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურ დირექტორს ნიკოლოზ ანთიძეს და საქართველოში უკრაინის სრულუფლებიან ელჩს იგორ დოლგოვს უმასპინძლა.

აღნიშნულ შენობას კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი აქვს, ამიტომ სახლ-მუზეუმის რეაბილიტაციას, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, მუნიციპალური განვითარების ფონდისა და ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომლობით განახორციელებს.

უკვე გავლილია მოსამზადებელი სამუშაოები და ექსპონატები დაცულ სივრცეშია გადატანილი.

სახლ-მუზეუმის რეკონსტრუქციასთან ერთად, გათვალისწინებულია შენობის ეზოს ინფრასტრუქტურულად მოწყობაც.

პროექტირებას კონკურსში გამარჯვებული კომპანია შპს „არტ ბილდინგი" ახორციელებს,



მათი წარმომადგენლების განმარტებით, ამ ეტაპზე მიმდინარეობს კვლევა-ფიქსაცია, არქიტექტურულ -არქეოლოგიური ანაზომის გაკეთება, რაც გულისხმობს შენობის მდგომარეობის დაფიქსირებას, თავისი ბზარებით, დაზიანებებით. დაგეგმილია კონსტრუქტორის ჩართვა, რათა შენობის ფასადთან დაკავშირებით, მოხდეს დეტალური შეფასება.

ლესია უკრაინკას მემორიალური მუზეუმი, დაბა სურამში, ცნობილი ეთნოგრაფის ნიკოლოზ აბაზაძის XIX საუკუნის სახლშია გახსნილი.

მუზეუმის გახსნის ინიციატორი მწერალი გიორგი ლეონიძე იყო.




# საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენლები - ხაშურში

გასულ კვირას, ხაშურში, საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატის წარმომადგენლებმა, მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, საინფორმციო ტიპის შეხვედრა გამართეს. შეხვედრის მიზანი, ევროკავშირთან სავაჭრო შეთანხმება და მეწარმეებისთვის იმ სტანდარტების გაცნობა წარმოადგენდა, რომელიც მათ ამ თანამშრომლობის ფარგლებში ევალებათ.

გიორგი ჩიტაძე, საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატის საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების მართვის დეპარტამენტის დირექტორი: –დღევანდელი დღე, დასკვნითია იმ პროექტის ფარგლებში, რომლითაც ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრთან ერთად, სავაჭრო სამრეწველო პალატის დახმარებით, ვახორციელებთ. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში, ჩავდივართ სხვადასხვა რეგიონში, რათა მოსახლეობას გავაცნოთ ინფორმაცია, იმ ევროპული სტანდარტების შესახებ, რომელი სტანდარტებიც საქართველოს კანონმდებლობის ნაწილი უნდა გახდეს საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმების ფარგლებში და ამ კამპანიის ფარგლებშივე ხდება როგორც მოსახლეობის, ასევე მეწარმეების ინფორმირებულობა, რათა გაითვალისწინონ ეს სტანდარტები და იხელმძღვანელონ პროდუქციის წარმოების დროს. ეს პროექტი მეორე წელია მიმდინარეობს, ბოლო ეტაპი სამი კვირის წინ დავიწყეთ, ვიყავით სხვადასხვა ქალაქებში. მოსახლეობის ინტერესი საკმაოდ დიდია, რაც მათი აქტიურობიდანაც კარგად ჩანს.

თ. ჯავახიშვილი

# ხაშურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ღვაწლმოსილ პედაგოგებს სიურპრიზებით და სიყვარულით აცილებენ

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის და მთავრობის გადაწყვეტილებით, პედაგოგებს, ვისაც არ აქვთ სურვილი განაგრძონ საქმიანობა მინიმალური კომპეტენციის დადასტურებით, ეძლევა პრივილეგია, ნებაყოფლობითი არჩევანის საფუძველზე, 2019 წელს სახელმწიფოსაგან მიიღონ ერთჯერადი ფულადი ჯილდო 2 წლის ჯამური ხელფასი, ამასთან, შეუნარჩუნდებათ ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტი მისი სიცოცხლის გნმავლობაში, საჯარო სკოლების მასწავლებელთა სადაზღვევო ვაუჩერის პირობების შენარჩუნებით.



მასწავლებლობა რეგულირებადი პროფესიაა და მთავრობას აქვს ლეგიტიმური უფლება, დააწესოს გამოცდები. ასეთია განვითარებული ქვეყნების პრაქტიკაც. ისიც აღსანიშნავია, რომ პედაგოგთა გამოცდები თითქმის 9 წელია მიმდინარეობს.

ჩვენ ღვაწლმოსილ მრავალწლიანი წარმატებული საქმიანობის მქონე პედაგოგებს უჭირთ საყვარელი საქმის დატოვება. ისინი ხომ უშუქობის, უგაზობის, უხელფასობის ჟამს თავგანწირვით ემსახურებოდნენ საყვარელ საქმეს. მათი საქმიანობა არ დარჩა ყურადღების გარეშე და ამიტომაც მიიღო ხელისუფლებამ ჩვენთვის მისაღები გადაწყვეტილება.



და, აი, დამთავრდა სასწავლო წელი, არჩევანის დადასტურებით, ნებაყოფლობით, სიურპრიზებით, სიყვარულით, სამადლობელი სიტყვებით აცილებენ სკოლებიდან განათლების ამაგდარ მუშაკებს.

ბოლო გაკვეთილი ისე ჩაატარა ხცისის საჯარო სკოლის დამსახურებულმა პედაგოგმა ლუარა თუმანიშვილმა, რომ წარმოდგენაც არ ჰქონდა როგორი სიურპრიზი მოუწყეს სკოლის დირექტომა ქალბატონმა ლელა ქვრივიშვილმა, პედაგოგიურმა კოლექტივმა, მოსწავლეებმა და აღზრდილებმა. მოსწავლეებმა წითელ ხალიჩაზე ტაშით და ყვავილებით მიაცილეს შეკრებილ საზოგადოებასთან. სკოლის დირაქტორმა ვარსკვლავი გაუხსნა ლუარა მასწავლებელს და შეგვახსენა მისი დამსახურება და მიღებული ჯილდოები. ყოფილმა მოსწავლეებმა-ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულის დეპუტატმა მამუკა წიქარიშვილმა, ხცისის თემის დეპუტატმა გურამ მაზიაშვილმა, ხცისის საკრებულოს რწმუნებულმა ზაზა ჯიქურაშვილმა, მადლიერმა მშობლებმა, ხაშურის განათლების რესურსცენტრის მთავარმა სპეციალისტმა ქალბტონმა მანანა აბაზაძემ, არ დაიშურეს სამადლობელი სიტყვები. თითოეული მათგანი ქალბატონ ლუარას მიმართ გამოხატავდა უსაზღვრო სიყვარულს, პატივისცემას. ყოფილი მოსწავლეები აღნიშნავდნენ, რომ მათ მხოლოდ საგანი კი არა, ცხოვრება, ზნეობა, სამართლიანობა, სიკეთე და კაცთმოყვარეობა ასწავლა ლუარა თუმანიშვილმა.

***

ამაღელვებელი და ემოციური იყო პირველი საჯარო სკოლის პედაგოგის ციალა ელისაშვილის სკოლასთან დამშვიდობების ბოლო გაკვეთილი. საზეიმო ვითარებაში, ვარდებისა და ფეიერვერკების, მოსწავლეების, პედაგოგების, სკოლის ადმინისტრაციის ოვაციებით, წითელი ხალიჩით, მიაცილეს იგი სააქტო დარბაზში.

სკოლის დირექტორმა, ბატონმა მორის დანდურიშვილმა თბილი, გულშიჩამწვდომი სიტყვებით მიმართა ქალბატონ ციალას.

ციალა ელისაშვილი 39 წელია მუშაობს პირველ სკოლაში.მან პროფესიიდან გასვლის გადაწყვეტილება მიიღო. სკოლამ ციალა მასწავლებელს ბოლო სამუშაო დღე განსაკუთრებით გაულამაზა. მადლობა ციალა მასწავლებელს, პირველ სკოლაში თქვენ ყველაზე მთავარი-ღირსეული მოღვაწეობის გაკვეთილი ჩაატარეთ.



სიტყვით მიმართეს პედაგოგმა მარინა რატიანმა: – გიცქერ და კეთილი შურით “მშურს”, როგორ ამაყად და ღირსეულად მიაბიჯებთ წითელ ხალიჩაზე, როცა ამდენი ღიმილიანი მოსწავლე გთხოვთ “არ წახვიდეთ”, როცა სიყვარულით გაცილებენ დამსახურებულ პენსიაზე, როცა შენი კოლეგები მქუხარე ტაშით გემშვიდობებიან, როცა ღირსეულად იცხოვრე, იყავი პროფკავშირული ორგანიზაციის წარმატებული ლიდერი და 39 წელი მოსწავლეთა აღზრდას შეალიე, მაშინ პირველ სკოლასთან დამშვიდობება არც თუ ისე გაუსაძლისია.

ხათუნა ხაჭაპურიძე: – ბედნიერი წლები მინდა გისურვოთ, ჩემო მასწავლებელო, კოლეგავ და მეგობარო! თქვენ იმსახურებთ სითბოს და სიყვარულს...

ნანა დაბრუნდაშვილი: – დღეს დიდი სიყვარულით და ოვაციებით შეხვდნენ მაწავლებლები და მოსწავლეები ციალა ელისაშვილს. ნამდვილად დამსახურება უნდა ამგვარ სიყვარულს. ბედნიერ და მშვიდ მომავალს გისურვებთ, ციალა მასწავლებელო!

ანა არსენიშვილი (მშობელი): – ღმერთმა ჯანმრთელი და ბედნიერი გამყოფოთ ყველგან იმ სიხარულის ძალით, რაც ბავშვებისაგან გაიყოლეთ...

ნანუკა ბარბაქაძე (მოსწავლე) – ჩემო საყვარელო, თბილო, ციალა მასწავლებელო, თქვენ ხართ ის ადამიანი, რომელმაც შემაყვარა მათემატიკა. ვინც პირველად მოგვცა საშუალება, რომ მათემატიკურად ავმღერებულიყავით, ვინც გვაგრძნობინა ულევი სითბო, არ გამოგრჩენიათ არც ერთი დაბადების დღე, წინ გადადგმული ნაბიჯი, რომ არ მოგველოცათ. თქვენ მასწავლებლის მოვალეობა პირნათლად შეასრულეთ, გვაჩუქეთ სითბო და სიყვარული.

სალომე ლომიძე: – ჩემო საოცრად თბილო, მზრუნველო მასწავლებელო, მოგვენატრებით უსაზღვროდ, თითოეული გაკვეთილი, თითოეული წუთი, ყოველთვის ვიამაყებთ თქვენით.

სითბოთი და სიყვარულით გულაჩუყებულმა ციალა მასწავლებელმა აღნიშნა, რომ სკოლასთან განშორება რთულია, მაგრამ მიმყვება ის სითბო და სიყვარული, რაც ჩემს მიმართ გამოხატეთ. მადლობა ყველას, მიყვარხართ ბავშვებო, კოლეგებო.

**ინეზა ელისაშვილი,**
საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი
პროფკავშირის ხაშურის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე

# ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ტეზერში ამბულატორია ეწყობა

მიმდინარე პროცესებს ადგილზე აკვირდებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი გურასპაშვილი, მერის მოადგილე ზურაბ როსებაშვილი და ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი გიორგი პაპიაშვილი.

აღნიშნული პროექტი 45 595 ლარით ფინანსდება. პროექტის განხორციელების შემდეგ ადგილობრივი მაცხოვრებლები პირველად სამედიცინო მომსახურებას მიიღებენ.



# ხაშურის მუნიციპალიტეტის ისტორია ტოპონიმებში

(გაგრძელება. დასაწყისი იხ „ხმ“ #5, 6, 7, 9, 11,12,14,15,16,17, 18,19,20,21,22,23,24)

ასევე, არასწორად მიგვაჩნია პროფ. შ. ქურდაძის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ი. ბატონიშვილი სურამის ტრადიციულ სახელთან ერთად, ვითომ ასახელებს მის მეორე სახელწოდებას – „ყასაბა ქალაქს“ და მასზე დაყრდნობით კვლავ ტოპონიმ სურამის ახსნას ცდილობს. „ყასაბასთან“ დაკავშირებით პროფ. შ. ქურდაძის მსჯელობა სწორია, მაგრამ ეს ვარაუდი ტოპონიმ „სურამთან" დაკავშირებით არაზუსტია, რადგან „ყასაბა ქალაქად“ ი. ბატონიშვილი მარტო სურამს არ მიიჩნევს, იგი ასეთივე ქალაქად ასახელებს ანანურს, ახალგორს, დუშეთს, ცხინვალს, აქვეა დასახელებული ყასამჩა ქალაქი გორი და ქალაქები ახალცხე, სიღნაღი და თბილისი. ე.ი. იოანე ბატონიშვილის მიხედვით, მის თანადროულ საქართველოში ქალაქის სამი ტიპია: ყასაბა, ყასამჩა და ქალაქი.

ყასაბა და ყასამჩა სპარსული ტერმინებია. ჩვენთვის საინტერესო ყასაბა ლექსიკოგრაფ მ. ღაფარევის მიხედვით, ნიშნავს სოფელს, დასახლებულ პუნქტს, ქალაქის ტიპის დასახლებას. ი. რუბუნჩიკის მიხედვითაც, იგივე მნიშვნელობით არის განმარტებული: სოფელი, პატარა ქალაქი, დაბა.

ამრიგად, როცა ი. ბატონიშვილი სურამს ყასაბა ქალაქს უწოდებს, თვლის, რომ სურამი ქალაქის ტიპის დასახლებაა, პატარა ქალაქია, დაბაა.

როგორც ვხედავთ, პროფ. შ. ქურდაძისეულ „ყასაბას" გააზრებას არავითარი საერთო არა აქვს ი. ბატონიშვილისეულ „ყასაბასთან". პროფ. შ. ქურდაძე სულ სხვა მნიშვნელობით განიხილავს მას, მაშინ, როცა ი. ბატონიშვილთან იგი სხვა შინაარსის მატარებელია.

ვფიქრობთ, რომ ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით, ჯერჯერობით, შეუძლებელია ტოპონიმ სურამის ახსნა, თუმცა, რა თქმა უნდა, ყველა მოსაზრება, რაც კი მისი სახელის წარმომავლობას ეხება, საინტერესო და გასათვალისწინებელია.

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ერთი მოსაზრებაც. სურამი, ისევე როგორც ბეკამი,–ამ სუფიქსით ნაწარმოები სახელია. მასში ძირია „სურ", –ი სახელობითი ბრუნვის ნიშანია. ძირი „სურ" სხვა სახელებშიც გვხვდება. მაგ:, **სურ**-ებ-ი, კელა **სურ**-ი, ხევ-**სურ**-ეთ-ი... ჩვენი ყურადღება მიიპყრო პროფ. ს. მაკალათიას ნაშრომმა „ხევსურეთი", რომელშიც ვკითხულობთ: „ხევსურეთი მაღალმთიანი ქვეყანაა, რომელიც ღრმა ხევებით არის დაღარული. მისი გეოგრაფიული სახელწოდებაც „ხევსურეთი" უეჭველია აქედან არის წარმომდგარი და ნიშნავს ღრმა ხევებიან ადგილს".

ამრიგად, ს. მკალათიას აზრით, ამ კუთხეს „ხევსურეთი" დიდი მთაგორიანობისა და ღრმა ხევებით „დაღარულობის გამო შერქმევია".

მართალია, სურამის რეგიონი ისეთი ღრმა ხევებით არ გამოირჩევა, როგორიც ხევსურეთისათვის არის დამახასიათებელი, მაგრამ აქაც არაერთი ხევი გვხვდება, რომლებსაც მდ. სურამულას პატარა შენაკადები ქმნიან (ბაიანთხევი, კაკალათხევი, ურთხვის ხევი და ა.შ.), რეგიონი მრავალი ხევით არის დაღარული. არ არის გამორიცხული რომ, სწორედ ეს ფაქტორი შეიძლება დადებოდა საფუძვლად სურამის სახელწოდებას.

პროფ. გ. ყორანაშვილი თვლის, რომ ზანური ენის მიხედვით უნდა აიხსნას „სურამი,“ როგორც სუროიანი, (სურონი – სუროიანი ადგილი).

შორეულ წარსულში სურამზე გადიოდა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიმავალი მნიშვნელოვანი სავაჭრო-საქარავნო გზა. „ინდური საქონელი მდ. ამუდარით ჩაჰქონდათ კასპიის ზღვაში და იქიდან მტკვრით ამოჰქონდათ აღმოსავლეთ საქართველოში. აქედან კი უკვე ხმელეთით – სურამის უღელტეხილით – ეზიდებოდნენ დასავლეთ საქართველოში, სადაც საქონელი მდ. რიონით შავი ზღვის სანაპირო ქალაქებს, კერძოდ, ფაზისს ანუ ფოთს აღწევდა“.

ამ გზის შესახებ ცნობები IV–III საუკუნეების ბერძენი ისტორიკოსებისა და გეოგრაფების – არისტობულეს, პატროკლეს, ერატოსთენეს შრომებში გვხვდება. სტრაბონი მათ ცნობებს ასე გადმოგვცემს: „არისტობულე ოქსოსს (მდ. ამუ-დარია) მიიჩნევს უდიდეს მდინარედ. არისტობულე და პატროკლეს სიტყვით, ერატოსთენეც ამბობენ, რომ ეს მდინარე სანაოსნოა და ამ მდინარით ბევრი ინდური საქონელი შემოაქვთ ჰირკანიის (კასპიის) ზღვაში, ხოლო აქედან ალბანიაში გადააქვთ და შემდეგ მტკვრითა და მის მომდევნო ადგილებით ევქსონიის (შავ) ზღვაში ჩააქვთ“.

როგორც ვხედავთ, სტრაბონი აღწერს იმ სავაჭრო-საქარავნო გზას, რომლითაც ინდური საქონელი მდ. ამუ-დარიით შემოჰქონდათ კასპიის ზღვაში, ხოლო შემდეგ მტკვრითა და „მის მომდევნო ადგილებით“ სურამის გავლით გადაჰქონდათ შავი ზღვის სანაპიროებამდე–ფაზისამდე.

ჯერ კიდევ წინარე ელინისტურ ხანაში, სავაჭრო ურთიერთობა დასავლეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს შორის წარმოებდა სურამის უღელტეხილით. ამის დამადასტურებელია 1856 წელს აქ აღმოჩენილი ძვ. წ-აღ-ის VI–V საუკუნეების ვერცხლის აქამენიდური სიკილა კოლხურ „თეთრთან“ ერთად. როგორც ჩანს, მონეტები სურამში მოხვდა, სწორედ, სურამის უღელტეხილის მეშვეობით. ამავე პერიოდში, აღნიშნული უღელტეხილის საშუალებით, ბერძნული იმპორტი იჭრება აღმოსავლეთ საქართველოში, ხოლო ელინისტური ხანიდან, როცა ვაჭრობა იღებს ე.წ. „მსოფლიო“ ხასიათს და სავაჭრო ურთიერთობის პროცესში არა მხოლოდ მცირე აზია, მესოპოტამია და ეგვიპტე, არამედ შუა აზიის ქვეყნები, ინდოეთისა და ჩინეთის შორეული რაიონებიც ებმება, იქმნება ერთიანი დიდი სავაჭრო–სატრანზიტო გზა ინდოეთიდან ფაზისისაკენ სურამზე გავლით. სწორედ, ამ გარემოებამ განაპირობა სურამის ქალაქად ჩამოყალიბება, მისი ზრდა-განვითარება. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ სურამის ქალაქად ჩამოყალიბება იწყება IV–III საუკუნეებში, ხოლო III საუკუნის ბოლოსათვის მას მკვეთრად გამოხატული ქალაქური იერსახე აქვს.

სხვათა შორის, აღნიშნული გზის არსებობას და მდ. მტკვრის სანაოსნოდ გამოიყენებას ადასტურებს სოფ. ცხრამუხასთან ახლოს მდ. მტკვარში XIX საუკუნის 90-იან წლებში ნაპოვნი გემის ღუზა.

სურამი, განსაკუთრებით დაწინაურდა საქართველოს გაერთიანების დასაწყისში (XI ს.) და მომდევნო საუკუნეებში (XII–XIII ს.ს.) იგი მნიშვნელოვანი სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრი ხდება, რომელსაც მჭიდრო ურთიერთობები გააჩნია როგორც საქართველოს, ასევე მის მეზობელ ქვეყნებთან.

სურამი ამ პერიოდში წარმოადგენს ქართლის ერისთავების – სურამლების რეზიდენციას.

სურამის როლი და მნიშვნელობა მონღოლების, და, განსაკუთრებით, თემურ-ლენგის შემოსევების შემდეგ კნინდება და მცირდება (XIV–XV სს.). ეს გრძელდება რამდენიმე ხანს.

სურამი მხოლოდ XVII–XVIII საუკუნეებში დაწინაურდა კვლავ.

1624 წლის ერთ რუსულ დოკუმენტში იგი კვლავ ქალაქად მოიხსენიება.

ჟან შარდენიც მას გორის, თბილისისა და ცხინვალის გვერდით მოიხსენიებს (1672 წ). ჟან შარდენი ასე აღწერს სურამს: „სურამი, კაცმა რომ თქვას, მხოლოდ და მხოლოდ დაბას წარმოადგენს, იგი უფრო პატარაა, ვიდრე გორი, მაგრამ მის ახლოს დიდი და კარგად ნაგები ციხესიმაგრეა...“ ჟან შარდენი სხვაგან წერს: „... გავჩერდი სურამის ველზე, ციხესთან ახლოს, დიდ სოფელში, რომელსაც აგრეთვე სურამი ჰქვია. სურამის ველი ძალიან ლამაზი ადგილია, დაფარულია დაბალი ტყეებით, სოფლებით, ბორცვებით, აგარაკებითა და ქართველ დიდებულთა პატარა ციხეებით. მთელი მხარე დამუშავებულია. ერთი სიტყვით, იგი უმშვენიერესი კუთხეა“.

ვახუშტი ბატონიშვილი სურამს მცირე ქალაქს უწოდებს. მისი მიხედვით, აქ „მოსახლენი არიან ქართველნი, სომეხნი, ურიანი“.

ალ. ამილახვრის მიხედვითაც, სურამი ზემო ქართლის ერთ-ერთი მთავარი ქალაქია გორთან, ცხინვალთან და ალთან ერთად.

1715 წლის რუისის სამწყსოს აღწერის დავთარში სურამიდან შეტანილია 22 კომლი (მურვანიშვილი (2), ტუღრიაშვილი, ციმანკურიძე, ბაიაშვილი, პაპინაშვილი, ნებიერიძე (2), სანდაძე, ჯობაძე (8), ლხინიაშვილი, ბებიაშვილი (3), რევაზიშვილი (2), ბარბაქაძე (2), ძამაშვილი, ბიბილაური, შათირიშვილი, ურიაყოფილი, სვიმონაშვილი, კვირიკაძე).

ამავე დავთარში დაფიქსირებულია „ზე სურამი" რომელიც, ჩვენი აზრით, დღევანდელი გვერდისუბანი უნდა იყოს (იხ. გვერდისუბანი).

1728 წელს სურამიდან „თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში“ აღწერილია 255 კომლი. დავთარში ცალკეა აღწერილი ებრაელთა დასახლება 46 კომლით. სულ სურამში ამ დროს 301 კომლი ცხოვრობს. ყველა კომლი იხდის საოსმალო გადასახადს: სურამი - 15000, ებრაელთა დასახლება - 5000, სულ 20000 ახჩას. სურამში დასახლებულია 5 კომლი აზნაური.

1770 წლის აპრილის აღწერით, „არს ქალაქი სურამი და ამას შინა მკვიდრობენ მართლმადიდებელნი ქართველნი, სომეხი და ურიანი, 200 კომლი». ამ ცნობის თანახმად, 1770 წლისათვის სურამში დაახლოებით 1000–ზე მეტი კაცი ცხოვრობს.

სურამი მთელი XVII–XVIII საუკუნეების განმავლობაში ქართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო–ეკონომიკური ცენტრია და აქტიურად არის ჩაბმული საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში. ასეთივე მდგომარეობა შეინარჩუნა მან XIX საუკუნეშიც და XX საუკუნის დასაწყისშიც.

სურამი სამეფო ქალაქი იყო, მას ჰყავდა მამასახლისი, ნაცვალი და სხვა მოხელეები.

სურამში მამულებს ფლობდნენ ჩხეიძეები, ხიდირბეგიშვილები, აბაშიძეები, მურვანიშვილები, აბაზაძეები და სხვა.

XVIII სუაკუნის 30–იანი წლებიდან სურამი, ისევე როგორც მის სიახლოვეს მდებარე დასახლებული პუნქტები, სისტემატურად განიცდიდა ლეკთა თავდასხმებს. სურამი და მისი ციხე 1742–1745 წლებში ყიზილბაშების წინააღმდეგ აჯანყებული გივი ამილახვარის დასაყრდენს წარმოადგენდა.

სურამი XVIII საუკუნის 70–იანი წლებიდან რუსეთის ყურადღების ცენტრშია. აქ სხვადასხვა დროს რუსეთის ჯარის ნაწილები იდგნენ.

სურამი წარმოადგენდა მნიშვნელოვან კულტურულ ცენტრსაც. აქ მუშაობდა ვახტანგ VI-ის მიერ შექმნილი სწავლულ კაცთა ცნობილი კომისია, რომელმაც მოამზადა „ახალი ქართლის ცხოვრება“, ვახტანგ VI -ემ კი შეადგინა „დასტურლამალი“.

იოანე ბატონიშვილის მიხედვით, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, XVIII საუკუნის ბოლოს სურამი ყასაბა ქალაქია.

სურამი ცნობილი იყო სამღებროებითაც.

აქ არსებობდა საბაჟო.

1865 სურამში 223 კომლი მოსახლეა (204 სახელმწიფო, 12 საეკლესიო და 7 დროებით ვალდებული). 1886 წლის აღწერით, კი აქ უკვე 564 კომლი სახლობს (1422 კაცი და 1203 ქალი, სულ 2625 კაცი). ეროვნული შემადგენლობის მიხედვით, სურათი ასეთია: ქართველია 270 კომლი (კაცი– 590, ქალი–486), სომეხი – 182 (კაცი–471, ქალი–453), ებრაელი – 82 (კაცი–312, ქალი–229), რუსი–20 (კაცი–34, ქალი–27), ლეკი – 6 (კაცი–6) ოსი – 2 (კაცი–4, ქალი–5), გერმანელი –1 (კაცი–2, ქალი–2) და ბერძენი – 1 კომლი (კაცი–2, ქალი– 2).

XIX საუკუნეში სურამის დაწინაურებას ხელი განსაკუთრებით შეუწყო ფოთი – თბილისის რკინიგზის გაყვანამ, რომელიც სურამის გვირაბის ექსპლუატაციაში შესვლამდე, აქ გადიოდა. სურამი ამ დროს მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სავაჭრო ცენტრია არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი ამიერკავკასიის მასშტაბით. სურამი ცნობილი იყო თავისი ბაზრით, სადაც თავს იყრიდა ზემო ქართლის, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს სოფლის მოსახლეობა და სხვა. აქ მრავლად იყო სავაჭრო დაწესებულებები – მაღაზიები, ღვინის სარდაფები, დუქნები, საყასბოები და სხვა. განვითარებული იყო ხელოსნობა და შინამრეწველობა. 90-იანი წლებისათვის დაბაში მოქმედებდა 15–მდე სახელოსნო – საწარმო.

სურამმა XIX საუკუნის 60-70-იან წლებიდან ყურადღება მიიპყრო, აგრეთვე, როგორც შესანიშნავმა საკურორტო ადგილმა. ამას ხელს უწყობდა სამკურნალო წყლებიც. 1948 წელს სურამი რესპუბლიკური მნიშვნელობის კლიმატობალნეოლოგიურ კურორტად გამოცხადდა.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

## - 410 წელი ტაშისკრის დიადი ბრძოლიდან -

# „ჰკითხეთ ტაშისკარს“...

გიორგი ლეონიძე

1609 წლის ივნისის ბოლოს, ირან-ოსმალეთის ომის მიმდინარეობის დროს (1602-1612წწ), უკან დაბრუნებულ ოსმალთა და ყირიმელ თათართა ჯარი ქართლში შემოიჭრა და ქვეყანას დიდი საფრთხე შეუქმნა. ისტორიკოსებს შორის შემოსეული მტრის რაოდენობაზე ერთი აზრი არ არსებობს: „დიდმოურავიანის“ ავტორის იოსებ თბილელის მიხედვით, იგი 60 ათასს აღწევდა. სპარსელი ისტორიკოსის ისკანდერ მუნშის ცნობით, მათ შორის ყირიმელი თათარი 2000 იყო. ისტორიკოსი დავით გვრიტიშვილი იოსებ თბილელს ეთანხმება. მკვლევარ გივი ჯამბურიას ეს რიცხვი გადაჭარბებულად ეჩვენება. სიმონ ქვარიანი 30000 ასახელებს და ა.შ. ქართველ ისტორიკოსთა უმეტესობას მიაჩნია, რომ ქართველთა ჯარი 10 ათასს აღწევდა. რამდენად სწორია ეს ციფრები, ამას ვერ დავადასტურებთ, მაგრამ მომხდურთა სამხედრო ძალა რაოდენობრივად ბევრად რომ სჭარბობდა ქართველებისას, ფაქტია. აქვე იყო მცირერიცხოვანი სპარსთა რაზმი 700 კაცი, რომლებიც ქართველთა ჯარის მხარდამხარ იბრძოდნენ.

როგორც ჩანს, ქართლის სამეფოს ხელისუფალნი ელოდნენ მტრის შემოჭრას და მათ სათვალთვალოდ ზაქარია და იარალი (მათი გვარები ცნობილი არ არის), სათანადო რაზმით გაუგზავნიათ, სამწუხაროდ, მათ ვერ შეუმჩნევიათ მტრის შემოჭრა. თრიალეთიდან შემოსული ოსმალ-თათრები მანგლისში შემოვიდნენ. გამოიარეს სოფელი კველთა, სადაც ხელში ჩაუვარდათ მღვდელი თევდორე.



მომხდურებმა მას შესთავაზეს ცხირეთში მეფის საზაფხულო რეზიდენციაში მიყვანა. (ამ დროს ქართლის მეფე ლუარსაბ მეორე სწორედ იქ იმყოფებოდა). მღვდელმა სხვაგვარი არჩევანი გააკეთა და მტერი სხვა გზით წაიყვანა და ამით მეფეს და ქვეყანას ხიფათი ააცილა. გმირმა ხუცესმა ოსმალო-თათრები ერთაწმინდაში გადმოიყვანა, იქიდან კი, ქვენადრისის გზაზე დააყენა, რითაც ცხირეთს საგრძნობლად ააცილა. მტრებმა შეიტყვეს მღვდლის ჩანაფიქრი და სიცოცხლეს გამოასალმეს.

აქვე შევნიშნავ, რომ ანა ანტონოვსკაიას „დიდ მოურავში“ თევდორეს მაგივრად მესტვირე ბადრიაა დასახელებული (იხ. წიგნი I, 1950 წ, გვ. 525).ისტორიის როგორი გაყალბებაა, რა პრიმიტიული ანტიკლერიკალიზმია.

ამ დროს ცხირეთში, მეფე ლუარსაბ მეორესთან, გიორგი სააკაძე იმყოფებოდა. მასთან ერთად იყო ზაზა ციციშვილიც, აქვე თავიანთი რაზმით მოვიდნენ ხელმოცარული ზაქარია და იარალი. გიორგი სააკაძემ 400-მდე მეომარი შეაგროვა, უმთავრესად კავთისხევში და მცირე ძალებით მტერს შეება (როგორც ჩანს მომხდურთა ერთ ნაწილს), შეტაკება მომხდარა სოფელ ნიაბის ბოლოს, სხერტის ჭალაში. ბრძოლაში თავი გამოუჩენია ზაზა ციციშვილს, რომელსაც ფაშა მოუკლავს, მტრებით გარშემორტყმულს ფაშას მოკვეთილი თავი კბილებით დაუჭერია და ისე გამოსულა მტრის რიგებიდან.

აღნიშნულ ბრძოლაში ლევან სანიკიძის მიხედვით თავი გამოუჩენია თამაზ მაჩაბელსაც.

აქედან ოსმალ-თათრები ყარაღაჯისკენ დაძრულან, მერე კი, დოესისკენ უქნიათ პირი. ჩანს, გორში შესვლა, ციხეში გამაგრება და ქარელში ფეხის მოკიდება უნდოდათ. ისინი სომხის ტერტერას (მღვდელს) შეუნიშნავს. საბედნიეროდ, ესეც მაღალი შეგნების ყოფილა, უკან გორისკენ გაბრუნებულა და ხიდი აუყრია, გორელების დახმარებით.

მტერი მტკვრის მარჯვენა სანაპიროს აუყვა, სოფლების რბევით და სოფელ რბონაში (უწინ „ბრბონა“) მისულან. აქ, როგორც ჩანს, ვიწროობისა და ტყიანობის გამო, გზა ველარ გაუგრძელებიათ. რბონასა და ახლომახლო სოფლებში სახლები დაუნგრევიათ, მისგან ხიდი აუგიათ და მტკვრის მარცხენა ნაპირზე გადმოსულან, ცოტა ზემოთ წასულან „ნახვეტას“ მინდორზე (დღევანდელი ნახვეტრები) დაბანაკებულან, თხრილი გაუთხრიათ და თავდაცვისთვის მომზადებულან.

ამასობაში ქართულმა მხარემ,რომლის მთავარი ორგანიზატორი გიორგი სააკაძე იყო, სასწრაფოდ მოუხმეს ქართველთა ჯარს. შემწეობისთვის მიმართეს: მუხრანბატონს, ქსნისა და არაგვის ერისთავებს, ამილახვარს და სურამის ბოლოს დაბანაკდნენ. მაშინ ამას ადგილი უნდა ჰქონოდა სოფელ ბეკმის, ან უფრო მიახლოებით ტეზრის ქვემოთ მტკვრისაკენ. ვიდრე ეს მოხდებოდა, მანამდე გადაწყდა მტრისთვის გზები შეეკრათ მტკვრის ხეობაში, დღევანდელი ბორჯომის ხეობაში.

„დიდმოურავიანში“ გიორგი სააკაძე გვამცნობს:

„გზები შეუკარ კორტანეთს, შალვა უფროსი მეკრისა“.

ოსმალებმა, უნდა ვიფიქროთ, რომ შეიტყვეს გზის ჩაკეტვა, მათ დარჩათ მეორე გზა ვახანზე გადავლით, მაგრამ ეს გზაც დაკეტილი იყო ქართველთა ჯარის სურამის ბოლოს დგომით.

სპარსელი ისტორიკოსი ისკანდერ მუნში ნაშრომში „ცხოვრება შაჰ-აბასისა“ მოგვითხრობს „ლუარსაბ-ხანის ლაშქარმა გზა ჩაუკეტა მათ ვიწრო გასასვლელებსა და ტყეებში და ერთი მხრით ყიზილბაშთა (სპარსელთა 700 კაციანი რაზმი) ჯარმა და მეორე მხრივ ქართველებმა ისინი შუაში მოაქციეს“.

ვიდრე ბრძოლის მიმდინარეობაზე გადავალთ, შევჩერდეთ საკითხზე, სად მოხდა ბრძოლა 1609 წლის ივნისის ბოლოს.

„ახალი ქართლის ცხოვრება“ ვახუშტი ბატონიშვილი და ისტორიკოსთა დიდი ნაწილი, მიუთითებენ „ტაშისკრის ბოლოს“, ნახვეტრებს. ამის მიუხედავად, არის სხვა მოსაზრებებიც: საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში ბრძოლის ადგილად ნაჩვენებია „ქვიშხეთის ბოლო“, ხოლო სახელწოდებად „ქვიშხეთის ბრძოლა“. 1958 წელში გამოცემულ სახელმძვანელოში (ნიკო ბერძენიშვილის რედაქტორობით), აღნიშნული ბრძოლის ადგილად მითითებულია „ქვიშხეთი“. VIII-IX კლასების სახელმძღვანელოში (ნოდარ ასათიანის, ვიქტორ გუჩუას, მარიამ ლორთქიფანიძის და შოთა მესხიას ავტორობით) ვკითხულობთ: „ოსმალთა ჯარი ქართველებმა მთლიანად გაანადგურეს ქვიშხეთის ბოლოს ტაშისკართან“. მწერალი ანა ანტონოვსკაია ბრძოლის ადგილად ასახელებდა „სურამის ველს“, აქედან გამომდინარე, აღნიშნავდა „სურამის გამარჯვებას“, რაც გამეორებულია ავტორის „დიდი მოურავის“ საფუძველზე შექმნილ ფილმშიც (მიხეილ ჭიაურელის რესორობით). ისტორიკოსი დავით გვრიტიშვილი აღნიშნავს „ქვიშხეთის ომს“, ქვიშხეთის ეპოპეას. რა თქმა უნდა „სურამის ბრძოლა“ ლაფსუსია და უნდა გამოვრიცხოთ.

ამდენად, ქვიშხეთლებსაც და ტაშისკრელებსაც თავისუფლად შეუძლიათ იამაყონ აღნიშნული ბრძოლის ადგილის მდებარეობით.

ასევე , ვფიქრობ, რომ ომი კონკრეტულად მოხდა მდინარე შოლის შესართავიდან დაახლოებით ნახევარი კილომეტრის დაშორებით მტკვრის მარცხენა ნაპირის დაყოლებით.

ბრძოლა დაიწყო გიორგი სააკაძის გეგმის მიხედვით: სააკაძემ იცოდა რა ბუნება ამ ადგილისა. ყოველი მზის ამოსვლისას უბერავს ქარი. მან მეთოფურები ჩააყენა იმ მხარეს, საიდანაც უბერავდა დილის სიო. უბრძანა, სროლა დაეწყოთ. ქარმა კვამლი თათრების თხრილამდე მიიტანა და ამ კვამლს მიაყოლა ჯარი, რომელიც უჩინრად მიადგა მტერს, რაც შეეხება გიორგი სააკაძეს, ის იყო ომის სული და გული.

„რაზმი გავაწყევ, მივმართე მკლავითა დაუშრომითა,
სისქეს ჯარს პირველ მიუხე, სისწრაფე დიდის ნდომითა,
ვხოცდით გულმყოფრად, ვიბრძოდი, სწორად რაზმს შუა ვბრუნავდი,
რომელსაც სისქეს ჯარს მოვხვდი, ერთმანერთს შიგ აურევდი“
(„დიდმოურავიანი“)

ასევე მამაცურად იბრძოდა მეფე ლოუარსაბიც:

„მეფე გულსრულად იბრძოდა, შექმნა შუბისა ძგერება,
ვისაც მიუხდის თამამად, იგ მისგან გაიმტვერება“.

იგივე ითქმის საერთოდ ქართველ ჯარზედ:

„ფიცხად იბრძოდნენ ქართველნი, რაღაა უფრო მტერება“.

ცხარე ბრძოლის მსვლელობაში გარდატეხა მოხდა. იოსებ თბილელი ომის გამარჯვების სულის ჩამდგმელს ასე ათქმევინებს:

„ვთქვით გამარჯვება ჩვენია, გავძლებით მათის ომითა“.

სისხამ დილით დაწყებული ბრძოლა გვიან საღამომდე გაგრძელდა. იოსებ თბილელის პოემაში გადმოცემულია მტრის დამარცხების სამარცხვინო ფინალიც:

„ვინ, რომ ტყეში შემძვრალიყო, მესამე დღეს მოჰყავთ კრული“.

იგივეს მოგვითხრობს ვახუშტი ბატონიშვილიც: „რამეთუ მოსაკიდელთა (ადგილია) დედანიცა მესამე დღემდე გამოიყვანდნენ ტყიდამ თათარხანთა, განაშიშვლიან და განუტევიან“.

უნდა ვიფიქროთ, რომ მსგავსი რამ ხდებოდა ქვიშხეთის მიმდებარე სოფლებში და მის ტყეებში.

სპარსი ისტორიკოსი ისკანდერ მუნშიც იგივეს გვიყვება, რომ „ორივე ფაშა იქნა შეპყრობილი“ ოსმალ-თათრებმაო „ნადავლი დაჰყარეს და ტყეებში გაიფანტნენ... ქართველები დაეძებდნენ მათ, შვიდას კაცამდე თათარი ხელში ჩაიგდეს. ვინც მახვილს გადაურჩა, ისინიც ქართველმა გლეხებმა გააშიშვლეს და შიშველ-ტიტვლებმა მიაღწიეს ახალციხემდე“.



როგორც დავინახეთ, ნახვეტრებზე მომხდარი ბრძოლა გვიან საღამომდე გაგრძელდა (15-16 საათი). აქედან ჩანს, რომ დიდი იყო საფრთხე, რაც ჩვენს ქვეყანას ემუქრებოდა. მტრის გამარჯვების შემთხვევაში, ზემო ქართლი მოსახლეობისგან დაიცლებოდა. აქედან გამომდინარე, ამ ბრძოლის მნიშვნელობა დიდია. ამ ომის შედეგად, გაუმჯობესდა ქართლ-კახეთის პოლიტიკური მდგომარეობა.

უთუოდ საინტერესო უნდა იყოს ომის ფინალიც. „დიდმოურავიანში“ გამარჯვების მთავარი შემოქმედი გიორგი სააკაძე ამბობს:

„ომი გადასწყდა, გამოვყვსეთ ხელი და გული ლხინებსა,
კვირით კვირამდი სმა იყო, ნეტარ ვინ მოიწყინებსა?“

„ახალ ქართლის ცხოვრებაშიც“ აღნიშნულია „და ჰქონდათ ლხინი და სიხარული“. ადგილობრივ მოსახლეობაში შემორჩენილი საისტორიო გადმოცემით გიორგი სააკაძეს ქართველ ჯართან ერთად გამარჯვება აღუნიშნავს ტაშისკარში, ორი დიდი წაბლის ქვეშ, რომელთაგან ერთი დღესაც დგას.

უსაფუძვლოა წარმოვიდგინოთ, რომ აქაური მხარის მოსახლეობა ბრძოლის პასიური შემყურე იყო, რომ ქართლის სააბაშიო, აბაშიძეთა თავკაცობით მოვლენას გულგრილად შეხვდა. ცნობილია, რომ ქვიშხთელი ღონენა აბაშიძე გირგი სააკაძის აქტიური მხარდამჭერი იყო და ქართველთათვის სამარცხვინო ბაზალეთის ომში, მის მხარდამხარ იბრძოდა. მეფე-პოეტი არჩილი თეიმურაზს ათქმევინებს:

„მერმე შემხვდა აბაშიძე, იგ ღონენა ქვიშხეთელი,
თავი ფარში ჩამოეყო, მოეხარა ვითა თელი,
ფარის კუბოს შუბი მიკრა, მაგრამ ვერ მყო მიწის მთელი,
სამკლავეცა გამიტეხა და დამკოდა მე ნათელი“.

უნდა ვივარაუდოთ, რომ სააკაძესა და ღონენა აბაშიძის ურთიერთობას იმ დროს ჩაეყრებოდა საფუძველი.

სახელოვანი ბრძოლა, რომელიც 400 წლის წინ მოხდა „ნახვეტრებზე“ და რომელმაც ქართული ხმალი ასახელა, სიამაყით აღავსებს ჩვენს გულებს.

კლიმენტი სუთიაშვილი,
ისტორიკოსი



ხაშურის მუნიციპალიტეტის ტურისტული ობიექტები. სოფელი ბიჯნისი, მდინარე ბიჯნისულა, ტაბაკლდე



## "ბიგ-რაუნდის" გამარჯვებული სურამის IV საჯარო სკოლის გუნდი გახდა

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის ორგანიზებით, 2019 წლის 22 ივნისს, ქ. ქობულეთში, ინტელექტუალური თამაშის "BIG raund" ფინალური შეხვედრა გაიმართა. ფინალში სამი სკოლის გუნდი იღებდა მონაწილეობას. თამაში საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა და საპრიზო ადგილები შემდეგნაირად გადანაწილდა:

I ადგილი - სსიპ სურამის ქრისტეფორე III-ის სახელობის 4 საჯარო სკოლა;
II ადგილი - სსიპ ხაშურის 1 საჯარო სკოლა;
III ადგილი - სსიპ ხაშურის 8 საჯარო სკოლა.

სამივე სკოლის გუნდს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მეერის მიერ გადაეცათ, სამახსოვრო ფასიანი საჩუქრები. .

ინტელექტუალური თამაში "BIG raund" ყოველწლიურად იმართება და მასში მონაწილეობა ხაშურის მუნიციპალიტეტის ყველა სკოლას შეუძლია.

2019 წლის გათამაშებაში ჩართული იყო მუნიციპალიტეტის 19 საჯარო სკოლის 160-მდე მოსწავლე.

## ხაშურის ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ პოეტებს უმასპინძლა

ხაშურის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა, 25 ივნისს პოეტების ჯგუფს მასპინძლობდა. ღონისძიება პროექტ „ცოცხალი წიგნების" ფარგლებში, წმინდა ნინოს საქართველოში შემოსვლის 1700 წლისთავთან დაკავშირებით გაიმართა.

შეხვედრას უძღვებოდა ბიბლიოთეკის დირექტორი მაკა დიდებულიძე, რომელმაც აუდიტორიას პოეტები ნანა ქელეხიძე, ნინია სადღობელაშვი-



ლი, ბელა ქებურია, ლელა ცუცქირიძე და ცირა ყურაშვილი წარუდგინა.

სტუმრებმა დამსწრეთ თავიანთი შემოქმედება გააცნეს, ახალგაზრდებს წიგნიერების მნიშვნელობაზე ესაუბრნენ და ლიტერატურულ კონკურსებში მონაწილეობისკენ მოუწოდეს.

მნიშვნელოვანია, რომ ღონისძიებაზე, მოსწავლეებსაც მიეცათ შესაძლებლობა თავიანთი პოეტური პოტენციალი გამოევლინათ და აღნიშნული შეხვედრის მნიშვნელობაზე ესაუბრათ.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.